

ვებგვერდი, 19/04/2012  
სარეგისტრაციო კოდი  
190040000.22.033.016347

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის  
ბრძანება №112  
2012 წლის 11 აპრილი ქ. თბილისი**

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და  
მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის, მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები თანდართული რედაქციით (დანართი №1, №2, №3, №4).

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მომზადების მიზნით მხარჯავმა დაწესებულებებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგინონ მათი ბიუჯეტის 3, 6 და 9 თვის შესრულების ანგარიშები საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 დღის ვადაში, დანართი №2-ის შესაბამისად, ხოლო წლიური შესრულების ანგარიში – წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვისა, დანართი №1, №3-ის და №4-ის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის №340 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

*დ. გვინდაძე*

## წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

### ქვეპროგრამების შესახებ

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 320303  
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ერთიანი საინფორმაციო-საგანმანათლებლო სივრცის ფორმირება, განათლების სექტორში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების გზით.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურების ერთიანი ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სარეზერვო მონაცემთა ცენტრის შექმნა, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის, ასევე მხარდაჭერისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა;

2. სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების მართვის საინფორმაციო სისტემების დანერგვა და განვითარება: *eSchools*, *eVet* – სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული ზუსტი მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ონლაინ რეჟიმში განახლება და ანგარიშგება; *eFlow*- დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელიც იძლევა ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესების საშუალებას; *eGIS* - ელექტრონულ რუკაზე დატანილი ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა;

3. *eRegistry* - ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული რეესტრის წარმოება, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელის და სამეურვეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების მინიჭებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაციის ელექტრონულ რეესტრს; ასევე *eCertificate* - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (ატესტატების) ელექტრონული რეესტრის წარმოების სისტემის დანერგვა, რომელიც გულისხმობს სრულყოფილი ელექტრონული ბაზის საფუძველზე სხვადასხვა სახის ინფორმაციის წარმოებასა და მიწოდებას;

4. პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის წარმართვა;

5. საჯარო სკოლის დირექტორების სერთიფიცირების ორგანიზება, ასევე ელექტრონული გამოცდებისა და ტესტირებების უზრუნველყოფა სხვადასხვა ჯგუფებისათვის (მოსწავლეები, რესურსცენტრების უფროსები და სხვა);

6. პროფესიული სამანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე არსებული საზოგადოებრივი კოლეჯის სასწავლო პროგრამების სწავლების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

7. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების თაობაზე ტრენინგების გამართვა;

8. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე მორგებული ელექტრონული საგანმანათლებლო ინტერაქტიული თამაშების შემუშავების ორგანიზება;
9. პორტალების, მათ შორის ეროვნული სასწავლო გეგმის ინტერაქტიული ვებპორტალისა და სხვადასხვა დანიშნულების სისტემების განვითარება;
10. საჯარო სკოლების VoIP სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა 320303  
 პროგრამის განმახორციელებელი -----

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება                                   | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა | წლიური საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|-----------------|--|--|---|-------------------------|--|---|
| 320303          | სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა | 7980,0   | 8835,1  | 8815,8                  | 99.78%   | 3 711 286.0   |

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:**

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურების ერთიანი ქსელის შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

დაიწყო საეთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დანერგვის პროცესი. ამუშავდა „ChekPoint“-ის სისტემა, რომელიც უფრო სრულყოფილად უზრუნველყოფს ერთიანი ქსელის სხვადასხვა საფრთხეებისგან/ვირუსებისგან, არასანქცირებული შემოტევებისგან დაცვას და შიდა მომხარებლების დაშვების კონტროლს სხვადასხვა ვებ საიტებსა თუ აპლიკაციებზე.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრა უსაფრთხოების მენეჯერის საქმიანობა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა/განვითარების მიზნით.

569 სკოლა და 24 რესურსცენტრი თბილისსა და სხვა რეგიონებში უზრუნველყოფილ იქნა მაღალი გამტარიანობის ოპტიკური კავშირით, დამატებით განთავსდა 660 ერთეული უახლესი Cisco-ს როუტერი და უწყვეტი დენის წყარო. გაიზარდა ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე. ჩატარდა საქართველოს საჯარო სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში არსებული IT

ინფრასტრუქტურის აღწერა და შეიქმნა შესაბამისი მონაცემთა ელექტრონული ბაზა. გაგრძელდა სკოლებისათვის კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტების შევსება/განახლება და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა.

დაიწყო ზოგად განათლებაში ICT ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის ფორმირების პროცესი, ჩამოყალიბდა მისი ძირითადი კონცეფცია. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიზანია **განათლების სისტემის ტრანსფორმაციის გზით** ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

2. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის - **eSchool**-ის შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავდა ახალი მოდულები. დასრულდა ამ სისტემის დანერგვის პირველი ეტაპი - პილოტურ რეჟიმში ფუნქციონირების ფაზა და შესაბამისად შემდგომ რეჟიმში გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოები;

გაგრძელდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის **eVet**-ის შემდგომი განვითარება, სისტემაში საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაცია და მონაცემთა ბაზაში სტუდენტთა რანჟირების დოკუმენტის ასახვის პროცესები.

მართვის სისტემამ ასევე უზრუნველყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების მობილობის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა და 2013-2014 წლებში საგანმანათლებლო პროგრამებზე დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე განმეორებითი რეგისტრაციის გამოცხადება და რეგისტრირებული აბიტურიენტების გადანაწილება.

**eFlow**- დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემაში, უსაფრთხო კავშირის გამოყენებით 20 - მდე პროფესიული და 3 უმაღლეს სასწავლებელი ჩაერთო;

**„განათლების ხარისხი და ელექტრონული მართვის პროექტი“** - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა *განათლების ხარისხისა და ელექტრონული მართვის სისტემის პლატფორმის* შემუშავების პირველი ეტაპი.

3. **eRegistry**- წარიმართა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოება. განხორციელდა საჯარო სკოლის დირექტორის/მოვალეობის შემსრულებლების, სამეურვეო საბჭოს წევრების, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და სსიპ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის რეგისტრაციის პროცესი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მისი ქვედანაყოფების, სააგენტოების, მართვის სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორების და სხვა დაინტერესებული პირების ანალიზის, დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესების უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა და მიეწოდა სათანადო სტატისტიკური ინფორმაცია. შესრულდა ინფორმაციის დამუშავების სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგ პროექტებში და პროგრამებში: სკოლების ვაუჩერული დაფინანსება, მასწავლებელთა სერტიფიცირების დანამატის განსაზღვრა, საჯარო სკოლების პერსონალის

ჯანმრთელობის დაზღვევა, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საჭირო წიგნების რაოდენობის განსაზღვრა.

**eCertificate** - განათლების დამადასტურებელი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების გაცემის მიზნით, მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება; ზოგადი, სახელობო და საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის განაცხადებთან დაკავშირებით წარმოების ჩატარება; პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის.

4. განხორციელდა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია ტექნიკური ხარვეზების გარეშე.

5. წარიმართა XI-XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დაძლევის მსურველ მოსწავლეთა გამოცდების, CAT- გამოსაშვები გამოცდების და VI- IX კლასის მოსწავლეთათვის ელექტრონული ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა.

განხორციელდა დირექტორობის მსურველთა მორიგი შესარჩევი კონკურსში მსურველთა რეგისტრაცია, სერტიფიცირების ეტაპის ელექტრონული ტესტირება. საქართველოს მასშტაბით 340 სერთიფიცირებულ დირექტორობის მსურველს გადაეცა შესაბამისი სერთიფიკატი და სკოლების არჩევის მიზნით, განხორციელდა მათი განმეორებითი რეგისტრაცია.

6. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე საზოგადოებრივ კოლეჯში 6 სხვადასხვა მოკლევადიან კურსზე ჩარიცხული იყო 85 მსმენელი და აქედან საანგარიშო პერიოდში გადამზადებულ იქნა 42 მსმენელი;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. 2013 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხა - 286 სტუდენტი (სწავლის დაწყება 04.11.13), საიდანაც 2014 წელს 118 სტუდენტს მიენიჭა შესაბამისი პროგრამების პროფესიული კვალიფიკაცია.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2014 წლის საგაზაფხულო მიღებაზე ჩაირიცხა - 145 სტუდენტი (სწავლის დაწყება 19.05.14), საიდანაც ამჟამად სწავლობს - 76 სტუდენტი.
3. 2014 წლის საშემოდგომო მიღებაზე (სწავლის დაწყება 04.11.14), ჩაირიცხა - 181 სტუდენტი (III საფეხურზე - 156 სტუდენტი, IV საფეხურზე - 25 სტუდენტი), ამჟამად გვყავს 149 სტუდენტი მიმდინარე სტუდენტი (III საფეხური - 126 სტუდენტი, IV საფეხური - 23 სტუდენტი)

**შენიშვნა :** დღეის მდგომარეობით საგანმანათლებლო პროფესიულ 3 პროგრამაზე სულ გვყავს 225 სტუდენტი

ჩატარადა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა სტუდენტური ოლიმპიადა.

2014 წლის 11 ნოემბერს „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ პროექტის ფარგლებში დაიწყო სწავლა მოდულებზე, რომელიც დროებით შეჩერდა 2014 წლის 2 დეკემბერს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2014 წლის 2 დეკემბერის

N1.1/505 ბრძანებით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ივანე ბურდულის წერილის საფუძველზე.

7. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის *eSchool* –ის დანერგვის პირველი ეტაპის ფარგლებში, მისი მოხმარების წესების სწავლების მიზნით საქართველოს მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლის წარმომადგენელთათვის განხორციელდა ტრენინგები.

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საანგარიშო პერიოდში გადამზადებულ იქნა განათლების სფეროში ჩართული სავარაუდოდ 410 კაცამდე, სხვადასხვა ელექტრონულ საგანმანათლებლო სისტემებში (*eCatalog; eFlow...*)

პროექტ „ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი ახალი მოდულური პროგრამების თაობაზე ექსპერტ-ფასილიტატორებისთვის კოლეჯის ადმინისტრაციისათვის.

ჩატარდა პროფესიული განათლების ინგლისური ენის მასწავლებელთა ტრენინგი. ჩაუტარდათ ასევე ტრენინგი პროფესიულ სტუდენტებს 'საქმიანი ურთიერთობების კულტურის თაობაზე.

8. 2014-2015 სასწავლო წლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი „ბუკები“-სათვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მოძიება, ტესტირება და იმიჯების მომზადება.

9. შეიქმნა *infoshare* - განათლების სისტემის ერთიანი საინფორმაციო პორტალი, რომლის მიზანს წარმოადგენს განათლების სისტემაში მიმდინარე პროგრამების, პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის განთავსება ერთიან ელექტრონულ სივრცეში.

გაგრძელდა განათლების სამინისტროს ცხელი ხაზის სატელეფონო ზარებისა და ოპერატორების მონიტორინგის, რეპორტირებისა და მართვის სისტემის განვითარება, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია დეტალურად მოიძიოს შემოსული ზარების რაოდენობის, უპასუხო/პასუხგაცემული ზარების სტატისტიკის, საუბრის ჩანაწერების და სხვა დეტალური ინფორმაციის მოძიება.

განხორციელდა Online-Chat -ის ელექტრონული სისტემის კონცეფციის შემუშავება და საცდელი ვერსიის გაშვება. ასევე სატელეფონო ცენტრის ზარებისა და ოპერატორების მონიტორინგის, რეპორტირებისა და მართვის სისტემის შემუშავება;

10. დასრულდა ადმინისტრაციულ საზღვართან დროებითი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების საჯარო სკოლების, რეგიონებში საგანმანათლებლო რესურსცენტრების VoIP სატელეფონო კავშირით და საჭირო აპარატურით (110 ერთეული) უზრუნველყოფის პროცესი.

### მოსალოდნელი, საბოლოო შედეგი:

1. საკომუნიკაციო კავშირის ხარისხის გაუმჯობესება, ინფორმაციის შეუზღუდავად და უსაფრთხოდ გაცვლა, ქსელური ხარვეზების ოპერატიული აღმოფხვრისა და დისტანციური მართვის სისტემის სრულყოფა;

2. სკოლების და პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროცესების მენეჯმენტის გაუმჯობესება;

3. სასწავლო დაწესებულებების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის შექმნა, მონაცემთა ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა;
4. On-line რეგისტრაცია ნებისმიერი ადგილიდან, მონაცემთა ავტომატიზაცია, რეგისტრაციის პროცესში სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება;
5. საგამოცდო პროცესების მაღალ დონეზე ჩასატარებლად სრული ტექნიკური, საკომუნიკაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
6. პროფესიული სასწავლო პროცესის დახვეწა, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
7. Emis-ის მიერ შემუშავებული ელექტრონული პროდუქტების წარმატებით დანერგვა; ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესება;
8. საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სკოლის სასწავლო პროცესში, როგორც ცოდნის მიღების, განმტკიცებისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავების ეფექტური ინსტრუმენტი;
9. საინფორმაციო, სასწავლო, სასწავლო-მეთოდური დანიშნულების რესურსებთან ოპერატიული წვდომისა და საჭირო ინფორმაციის მოხერხებული ძიების უზრუნველყოფა;
10. კომუნიკაციის გაადვილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამსახურებისა და სტრუქტურების ერთიანი სისტემის ფარგლებში.

**საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:**

1. ქსელში ჩართულთა რაოდენობა, ქსელის ფუნქციონირების ინდიკატორები, ინტერნეტ კავშირის ხარისხობრივი მაჩვენებლები; გამართული IT ინფრასტრუქტურა სკოლებში.
2. სასწავლებელთა რაოდენობა, სადაც წარმატებით დაინერგა მართვის საინფორმაციო სისტემები. დაინტერესებულ მხარეთა (სკოლა, მშობელი) გამოკითხვის შედეგები;
3. რეესტრის მონაცემთა გამოყენების მაჩვენებელი (არეალი), ბაზებთან ოპერირების შესაძლებლობის მახასიათებლები;
4. ელექტრონული რეგისტრაციის შედეგები, ხარვეზების მაჩვენებლები;
5. ჩატარებული გამოცდების, ტესტების, მონაწილეთა რაოდენობა; ხარვეზების მაჩვენებლები;
6. მიწოდებული სასწავლო პროცესების შედეგების მაჩვენებლები;
7. ტრენინგების შედეგების მაჩვენებლები;
8. დანერგილი ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამები;
9. მიწოდებული პროდუქტებისა და მათი მოხმარების მაჩვენებლები.
10. სკოლების რაოდენობა, სადაც დაინერგა Voip ტელეფონი.

მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა 320303  
 მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება                                | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3) | საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4) | განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30% | განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15% |
|-----------------|---|--------------------|-------------------|------------------|--|--|---|--|
| 1               | 2   | 3                  | 4                 | 5                | 6  | 7  | 8   | 9  |
| 320303          | მხარჯავი დაწესებულების მთლიანი ასიგნებები | 7980,0             | 8835,1            | 8815,8           | 110.72%  | 99.78%   |   |  |
|                 | პროგრამა №1                               |                    |                   |                  |  |  |   |  |
|                 | პროგრამა №2                               |                    |                   |                  |  |  |   |  |
|                 | პროგრამა №3                               |                    |                   |                  |  |  |   |  |



ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესრულების შესახებ

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება             | სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტის მთლიანი დაფინანსება | საანგარიშო პერიოდის წინა წლის ჩათვლით გაწეული საკასო ხარჯი (საანგარიშო პერიოდის გარდა) | საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული თანხა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | შემდგომი წლების პროგნოზი | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მთლიანად მიმართული თანხები, საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | საკუთარი სახსრებიდან პროექტზე მისამართი თანხები, პროექტის დასრულების ბოლომდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|-----------------|------------------------|--|--|---|--------------------------------------|--------------------------|--|---|
|                 | პროექტი №1             | 450.0  | 644,0  | 1768.6  | 1768.6                               | 228.0                    | 4.4  | 98.0  |
|                 | ქვეპროექტი №1(ვაუჩერი) | 112.5  | 1,4  | 112.5   | 106,8                                | 0                        | 0  | 0   |
|                 | ქვეპროექტი №2          |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №...        |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | პროექტი №2             |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №1          |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №2          |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №...        |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | პროექტი №...           |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №1          |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №2          |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | ქვეპროექტი №...        |  |  |   |                                      |                          |  |   |
|                 | სულ კაპიტალური ბიუჯეტი |  |  |   |                                      |                          |  |   |

პროექტი №1 ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა საჯარო სკოლებისათვის ქსელის მარშრუტიზატორები, სისტემის საჭიროებისათვის 4 ცალი კონდიციონერი, კომპუტატორები, პრინტერები და სხვა.

ვაუჩერული დაფინანსებიდან შეძენილი იქნა 130 კომპლექტი კომპიუტერი სასწავლო ,პროცესის მოთხოვნებიდან გამომდინარე.